


თეიმურაზ საყვარელიძის ხსოვნას

თეიმურაზ საყვარელიძე ვისთვის ბატონი, ვისთვის ძია, ვისთვისაც უბრალოდ თემური, დღევანდელ საქართველოში „ცნობად სახედ“ უთქოდ ვერ ნათვლდება, თემცა ქართველ პუბლიცისტებს შორის მისი სახელი ათწლებლებია უკვე პატივისცემით მოიხსენიება. თავად მას მეტი არცა სდომებია რა – ან რად უნდოდა „ცნობადობა“ დარბაისელი სანათესაო-საახლობლოს, წინებუდი ოჯახის, ერთგული მეგობრების პატრონს, დაბადებიდან ნიჭიერი, სახელგანთქანი ადამიანებით გარემოცულს.

საუნივერსიტეტო განათლებით ისტორიკოსი, ბატონი თემური უპირველეს მასწავლებლად გიორგი ნუბინაშვილს მიიხსენივდა და მის დაარსებულსა და შემდეგ მისივე სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (ახლა – ეროვნული ცენტრი) დაჰყო მთელი სტუდენტობის შემდგომი სიცოცხლე. აქ გაიარა მან ასპირანტურა, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელიც იყო და უფროსიც, დირექტორის მოადგილეცა და დირექტორიც და არასდროს შეუცვლია ქვეყნის წესი: ყოველთვის ერთნაირად კეთილგანწყობილ-ზრდილი, მშვიდ-თავშეკავებული გახლდათ და კიდევ – ნუმი, განრიდებული, თან კი მაინც თავაღსახინოდ მნიშვნელოვანი. ერთი თავისი შევლებით ხვდებოდა მხერას სრული სისადავე და რაიმე საგანგებო მნიშვნელობის გარეშე, პეწი და დახვეწილობა – მიხერა-მოხერის, თავის დაჭერის, მეტყველების, ნათელი დიმიდის და კეთილი შესუძრების; იერის ხინატიყვე სიტყვა „ჯიშინობასაც“ გათქმევენებდა – ასეთ ხმელ-ხმელ, ტანწვრილ „კოლხს“ ახლა ძველ ფოტოებზე უფრო ნახავთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მთა-ბარ-დაბა-ქალაქებში.

არცთუ იშვიათად მოგვსურვებია ბატონ თემურს საზოგადოებისთვის უფრო ხშირად მიემართა, უფრო მეტი ეწერა და ექვეყნებინა, თავი უფრო მეტად წარმოეჩინა. ისიც კი ვიცოდით, საბედნიეროდ: მთავარი ეს კი არაა, არამედ ის გაუბზარავი დირსება, რომლის მეოხებით მისი იმედი და ნდობა მარტოაღენ იმიტომაც გექნებოდა, სწორედ ასეთი რომაა. თეიმურაზ საყვარელიძე ხომ, ამასთანავე, სვენი ხეროთმოდვრების, მეტადრე კი ლითონმქანდაკებლობის ერთი საუკეთესო მკვლევართაგანიცაა, არა მხოლოდ უტყუარად სარწმუნო ხედვა-გააზრების სიმახვილით გამოირჩეული



სწავლული, საკუთარი, პირდაპირი აზრით, მწერლური ხელწერის მქონეც, ღმირ გამჭვირვალე ქართულის მოხდენილობა „უბრალო“ საცნობარო წერილსაც მხატვრულ პროზად აქცევს.

ბატონი თემური ამ ქვეყანას 2016 წლის 27 ოქტომბერს გაეცალა – ასევე თითქმის უჩუმრად და გაჩქარებით, თითქოსდა ეცადაო, რაც შეიძლება ნაკლებნი რაც შეიძლება ნაკლებად შეეწუხებინა. აი, წასული კი მას არ ეთქმის – რადგან ჭეშმარიტად ღირებული და ღირებულნი ჩვენი დაუდევრობით თუ გვეკარგება, ხოლო მან არა მარტო თხზულებები და ნაფიქრი დაგვიტოვა, კეთილშობილების მუხტიც, რომელიც, თუ კი სწორად ვიცხოვრებთ, კიდევ მრავალთა და მრავალთ გაამხნეებს და გაამდიდრებს.

დიმიტრი თუმანიშვილი